საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N962 2026 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

სსიპ – გელათის მეცნიერებათა აკადემიისა და ა(ა)იპ – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ:

ა) სსიპ – გელათის მეცნიერებათა აკადემიისათვის (ს/ნ: 212704992) ფინანსური დახმარების (400,000.00 (ოთხასი ათასი) ლარი) გაწევის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის" პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 05 04) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებიდან;

ბ) ა(ა)იპ – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტისათვის (ს/ნ: 404924310) ფინანსური დახმარების (350,000.00 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი) გაწევის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის" პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 04 05) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

№1

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე